ახალი გონიერი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვერს გული„

„განთიად შეისმინო ხმისა ჩემისა. განთიად წარვდგე შენდა და გეჩვენო შენ„

2023 წელი 31 მარტი № 3 (8190) ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

გვ3. საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები კასპში ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს

ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში

გვ2. ოფთალმოლოგიური აქცია

ნოდება: დამსახურებული მასწავლებელი

„გონიერმა მწვრთნელი ფეხვრმა„

გვ7.

გვ5. სპორტი — საგანმანათლებლო სივრცეში

გვ4. მარცხ ჰალტრა

ახალქალაქელი ნორჩები — ქალაქის სტადიონზე

გვ5.

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

გვ2.

გვ5. კოლეჯში ფეხბურთის გუნდს ქმნიან

კასპში — სამდღიანი, სამ ასაკობრივ ჯგუფში

გვ6.

საკაძის, გრიშაშვილის, ხეთაგუროვის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო

გვ3.

გვ5. დედაქალაქის საფეხბურთო აკადემიის ფილიალი — კასპის სპეციალიზებულ სკოლაში

ოფიციალური ქრონიკა

კასპის მუნიციპალიტეტსა და USAID-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

კასპის მუნიციპალიტეტსა და USAID-ის „ძლიერი სოფლის პროგრამის" ფარგლებში მუნიციპალიტეტში USAID-ის წარმომადგენლებთან რამდენიმე შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მიზანი პროგრამის ფარგლებში გამყოფი ხაზისპირა სოფლების ეკონომიკური განვითარება და გაძლიერებაა. აღნიშნული პროგრამა დაეხმარება მუნიციპალიტეტს, შექმნას მუნიციპალიტეტის პოლიტიკური დოკუმენტი - საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი, რომელშიც მუნიციპალიტეტს დაეხმარებიან ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის „ძლიერი სოფლის პროგრამის" წარმომადგენლები.

USAID-ის მიერ მოთხოვნილი იყო სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლობა. კონკრეტულად იყო მითითებული, ვინ უნდა ყოფილიყო ჯგუფის შემადგენლობაში, ვის უნდა ეხელმძღვანელა ჯგუფისთვის, რომ ჯგუფის ლიდერი ანუ ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო მუნიციპალიტეტის მერი. შემადგენლობაში კი მერიის და საკრებულოს ხელმძღვანელი პირებიც ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად. კონკრეტულად — მერის მოადგილეები, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, განათლების, სპორტისა და კულტურის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის და გარე სამსახურის ხელმძღვანელები, ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოდან - ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის კურატორები, მეწარმეები - ბიზნეს სექტორის, სამოქალაქო სექტორის, გენდერული საბჭოს წარმომადგენლები, ასევე გამყოფი ხაზისპირა სოფლის მკვიდრი მოქალაქეები.

მოთხოვნის შესაბამისად მერის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი მერის ხელმძღვანელობით, სადაც გათვალისწინებულია მითითება.

27 მარტს კასპის მუნიციპალიტეტი და USAID-ის „ძლიერი სოფლის პროგრამა" პარტნიორობის ახალ ეტაპზე გადავიდნენ, რაც თემების მხარდაჭერას მთელი რეგიონის მასშტაბით ითვალისწინებს.

კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ და USAID-ის „ძლიერი სოფლის პროგრამის" ხელმძღვანელმა დინა კარიჩმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი, რაც მუნიციპალიტეტსა და პროგრამას შორის თანამშრომლობის პირობებს განსაზღვრავს.

ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეში მდებარე ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში კასპის მუნიციპალიტეტის მერიას, შპს "საქართველოს ფოსტასა" და კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანებას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოეწერა ხელი.

მემორანდუმი მიზნად ისახავს შპს "საქართველოს ფოსტის" მიერ ივანე ჯავახიშვილის გამოსახულებიანი საფოსტო მარკის რეალიზაციის შედეგად შემოსული თანხის ნაწილის კასპის მუნიციპალიტეტისათვის გადაცემას. აღნიშნული თანხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციას მოხმარდება.

მემორანდუმს ხელი კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ, შპს "საქართველოს ფოსტის" გენერალურმა დირექტორმა ლევან ჩიკვაიძემ და კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა ეთერ ჩადუნელმა მოაწერეს.

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ კასპში მოქმედ სამოქალაქო ინიციატივების ახალგაზრდული ცენტრის "მომავლის" ბენეფიციარებისთვის საზეიმო ღონისძიება გამართა.

ბენეფიციარების განწყობაზე სპეციალურად მოწვეულმა ზღაპრის გმირებმა იზრუნეს. გაიჭრა სადღესასწაულო ტორტი და გაიმართა სადილი.

ღონისძიების დასასრულს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ, მერის მოადგილემ ზურაბ კოპაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ შოთა ბეგლარაშვილმა ბავშვებს საჩუქრები გადასცეს.

მუნიციპალიტეტის მერია დაუნის სინდრომის მქონე ბენეფიციარებზე ყოველწლიურად ერთჯერადად 400 ლარის დახმარებას გასცემს, ხოლო სარეაბილიტაციო დახმარებისათვის 1000 ლარს.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ოფთალმოლოგიური აქცია

კასპის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შენობაში უფასო ოფთალმოლოგიური აქცია ჩატარდა. აქცია კლინიკა "ნიუ ვიჟენის" ინიციატივითა და კასპის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა.

კლინიკის ოფთალმოლოგმა იოანე შათირიშვილმა აქციის ფარგლებში 40 პაციენტს გამოკვლევა და კონსულტაცია გაუწია.

აქციის მიმდინარეობას კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე თამაზ ტატანაშვილი და მოადგილე გიორგი მჭედლიშვილი გაეცნენ.

დასუფთავების აქცია გაიმართა

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კასპის მუნიციპალიტეტში საქართველოს "მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველოს", კამპანია "ლურჯი ნაკადულის" ფარგლებში დასუფთავების აქცია გაიმართა.

აქციის მონაწილეებმა დაასუფთავეს ქალაქში შემოსასვლელი და მდინარე ლეხურის მიმდებარე ტერიტორია. ნარჩენის გატანა ა(ა)იპ "კასპის კეთილმოწყობამ" უზრუნველყო.

კამპანია "ლურჯი ნაკადულის" ფარგლებში კასპში, მიკრორაიონის დასახლებაში ხეების დარგვის აქციაც გაიმართა.

დასუფთავების აქციასა და ნერგების დარგვის პროცესში მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და ა(ა)იპ "კასპის კეთილმოწყობის" თანამშრომლები მონაწილეობდნენ.

კასპის მუნიციპალიტეტი დასუფთავების და ხეების დარგვის აქციებს პერმანენტულად ატარებს.

ასფალტ-ბეტონის საფარი მოეწყობა

ქალაქ კასპში მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისა და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები დაიწყო.

ამჟამად მიმდინარეობს წინამოსამზადებელი სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგ ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება დაიწყება.

სამუშაოების დათვალიერებისას მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ აღნიშნა, რომ ორივე დაწესებულება ადამიანების ჯანმრთელობას ემსახურება და მათი პირობების გაუმჯობესება პრიორიტეტული და აუცილებელია. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება.

სოფელ გამდლისწყაროში მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ შოთა ბეგლარაშვილმა სოფელ გამდლისწყაროში მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები დაათვალიერეს.

გზაზე, რომლის სიგრძე 1 243 გრძივი მეტრია, მიწის მოჭრის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, მისი ღირებულება 594 999 ლარია და შპს "ქვენიფლენი" ახორციელებს.

სოფელ გამდლისწყაროში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია მნიშვნელოვანია, აღდგენილი გზით სოფელი უკავშირდება თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო ჩქაროსნულ მაგისტრალს, - აღნიშნა ვახტანგ მაისურაძემ.

საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები კასპში ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს

საკაკაძის, გრიშაშვილის, ხეთაგუროვის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო

ქალაქ კასპში საკაძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. ქუჩის სიგრძე 587 გრძივ მეტრს შეადგენს. ამჟამად წინამოსამზადებელი, მიწის მოჭრისა და გატანის სამუშაოები მიმდინარეობს.

სამუშაოების მიმდინარეობას კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, მერის მოადგილესთან დავით ქისიშვილთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან და მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან აჩიკო გიგოლაშვილთან ერთად გაეცნო.

როგორც ვახტანგ მაისურაძემ აღნიშნა, საკაძის ქუჩა ქალაქის ცენტრალური ქუჩაა. ქუჩის გარკვეული ნაწილი ასფალტირების გარეშე იყო დარჩენილი და რეაბილიტაციას საჭიროებდა. აღნიშნული პროექტით საკაძის ქუჩა ჩოლოყაშვილის კეთილმოწყობილ ქუჩას დაუკავშირდება. მალე მოსახლეობა განახლებული ქუჩით ისარგებლებს.

პროექტი ორფენიანი ასფალტ-ბეტონის დაგებას, ასევე, რკინა-ბეტონის კიუვეტების, საფეხმავლოებისა და ეზოში შესასვლელების მოწყობას ითვალისწინებს.

სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

ქალაქ კასპში გრიშაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

სარეაბილიტაციო სამუშაოებს გრიშაშვილის

ქუჩაზე, რომლის სიგრძე 619 გრძივი მეტრია, შპს "ჩაგელა" ახორციელებს.

ქუჩაზე მოეწყობა რკინა-ბეტონის კიუვეტები ცხაურებით, ბეტონის ბორდიურები, ეზოში შესასვლელები და დაიგება 2-ფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარი.

პროექტი, რომლის ღირებულება 293 484 ლარია, რეგიონული განვითარების ფონდის და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით მიმდინარეობს.

ქუჩის დარჩენილი მონაკვეთი, რომლის რეაბილიტაციაც მიმდინარეობს, ამორტიზებულია და რეაბილიტაციას საჭიროებდა. ქუჩით მოსარგებლეები გადაადგილებას მალე მოწესრიგებული ქუჩით შეძლებენ, - განაცხადა ვახტანგ მაისურაძემ, რომელმაც მიმდინარე სამუშაოები საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან ერთად მოინახულა.

კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ, მერის პირველმა მოადგილემ დავით ქისიშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ შოთა ბეგლარაშვილმა კასპში ხეთაგუროვის ქუჩის დარჩენილი მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები დაათვალიერეს.

1480 გრძივი მეტრი სიგრძის ქუჩის რეაბილიტაციას ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ქვენიფლენი" ასრულებს. პროექტის ღირებულება 534 999 ლარია და რეგიონული განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

ძირითადი მისასვლელი აღმართი 2021 წელს მოეწყო, პარალელურად ქუჩის სრული რეაბილიტაციის პროექტი მომზადდა.

ხეთაგუროვის ქუჩასთან ერთად ქალაქის მთავარ სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციაც მიმდინარეობს.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ერთი აბზაცით ...

ქალაქ კასპში მდინარე ლეხურის კალაპოტის შეცვლის სამუშაოები ჩატარდა. მდინარეში მოიმატა წყლის დონემ და მუნიციპალიტეტის მერიამ მიიღო პრევენციული ზომები, რომ ადიდების შემთხვევაში მოსახლეობა არ დაზარალდეს, დაცული იყოს როგორც შენობები, ისე მიწის ფართობები.

გამოგვიგზავნეთ

ძვირფასო მკითხველო, ალბომიანი ხიტოტხლიან გვნმვლოთხვში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ საოცნები მოვლენიან მოწმე ხდება. ხშირ შემთხვევაში ვერ ვიტით, ვინ გვუზიაროთ ნან�ი, ალბათ იმიან შიშით, რომ შეიძლება ვრცოწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხარ მომხწრე საოცნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენიანა შეგიძლია მოგვწოდოთ ამ მოვლენიან ამცანხველი მანი. მანი გაცნობიან და შეგნწავლიან შემდეგ თუ იგი ხვინდერიან იკნება გაზეთიან მკითხველიანთვის, გამოკვეყნდება გაზეთში რუბრიკით "შეუცნობელი".

ხაჯირებიან შემთხვევაში შეგვიძლია თქვენნ მიერ შემოთავაზებული ინფორმაცია გადავცეთ იკანერდებან. შეხანამდე გვეცნობით ჰრეფერენციებან ყოფილნცარებან.

,,ახალი გაზეთიადი,, იძებნა ხალინდერიანი ხურავებნა რავიანიან ხალგაზეთი ფოტო-მასალანიან შეხალმნელად. თხოვნით მიგმართავთ თანარრავიონელებნა - დადგენი ყველა ხვენა მასალანიში! გამოგვიგზავნეთ ხალინდერიანი ფოტოები!

,,ახალი გაზეთიადის,, მკითხველს შეუძლია მიგვწოდოს თავისი შედგენილი - სავეფრო ყრიხვრდები, შემეცნებით-გასართობი მასალები. მათგან უველაზე საინტერესო გამოქვეყნდება სპეციალური რუბრიკით ,,გინებანი გინიერსა,, დანერესებულ მკითხველს შეუძლია მიგვმართოს მისამართზე - ყასპი, სასაყაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 0 371 222576.

ისინი, ვის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ, თავიანთი კვალიფიციური საქმიანობითა და პროფესიული განათლებით მჭიდროდ, სისხლხორცეულად, პირადული პასუხისმგებლობისა და მოვალეობის შინაგანი ზნეკეთილობით ნაკარნახები აღსრულებით, ათეული წლებია, დაკავშირებული და ჩართული არიან სკოლამდელი აღზრდის საპატიო საქმიანობაში. ისინი თავიანთ ქალურ, დედობრივ როლს განასახიერებენ შინ, ოჯახურ გარემოში, თუ მის მიღმა, სასწავლო-სააღმზრდელო სივრცეში, ძირითადად, საბავშვო ბაღებში. სამსახურებრივი გარჯილობისათვის მათეული ერთგულება ხომ დასაფასებელია და მისასალმებელია ისიც, რომ არც საკუთარ შემოქმედებით გატაცებაზე ამბობენ უარს და ხელმარჯვეობენ, ვინ ხატავს და ქარგავს, ვინ თვითნაკეთი აქსესუარების შექმნით არის გატაცებული, ანდა მხატვრული კომპოზიციებისათვის სხვადასხვა ზომის კენჭებს იყენებს, ვინ კი ფერადოვანი და ნაირგვარი ორნამენტებით ამშვენისებს სასაჩუქრე ზარდახშებს, ვინ სეზონის შესაბამისი ნახატებით რთავს საბავშვო ბაღების ეზოს, დერეფნებსა და პატარების ადგილსამყოფელს...

მათ ასეთ გატაცებას, გნებავთ, ჰობი დაარქვით, გნებავთ პროფესიული გატაცება, გსურთ, უკეთესი შეფასება მოუძებნეთ. ფაქტი კი ისაა, რომ ისინი ბევრნი არიან, ყველგან არიან, ყველა საბავშვო ბაღში, კასპსა თუ სოფლებში. თავიანთი ნაკეთობებით, ხელგარჯილობის ნიმუშებით ხშირად არიან წარმოდგენილი საქალაქო მასშტაბის დღესასწაულებზე – იქნება ეს "კასპობა", სახალხო აქტივობა თუ სამუზეუმო სპეციალური გამოფენები საგანგებოდ ქალბატონებისათვის და, ასევე, რეგიონული თუ დედაქალაქური დონისა და მასშტაბისა.

ახლა, მარტის მიწურულს, ამ საგაზაფხულო ფერადოვანი და სურნელოვანი ბუნებრივი პალიტრის ვიზუალისათვის "ახალი განთიადი" სიამოვნებით წარმოგიდგენთ რამდენიმე შემოქმედი აღმზრდელ-პედაგოგი ქალბატონის პერსონას, ჩავთვალოთ, რომ ესაა მათი მორიგი საგამოფენო წარდგენა.

✦ მაკა კაიშაური – კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტი (სახელმწიფო შესყიდვების განხრით):

– 2009 წელს დავამთავრე ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტი. მისი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტის დეკანატის გადაწყვეტილებით მომენიჭა სახვითი ხელოვნების პედაგოგის სპეციალობა (დიზაინის მიმართულებით).

2009 წლიდან ვმუშაობ ჩვენი მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სპეციალისტად, 2019-დან კი სკოლამდელი აღზრდის სისტემაში. დიდად კმაყოფილი ვარ, რომ ხუთიოდე წლის წინ მომეცა ჩემი პროფესიით დასაქმების შანსიც – სოფელ კავთისხევის ომარ კელაპტრიშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში სახვითი ხელოვნების პედაგოგად. განვლილმა დრომ დამარწმუნა, რომ კავთურისხეობელი ბავშვებიც საოცარი შემოქმედებითი მუხტით არიან აღსავსენი. მათთან ერთად მეცადინეობა სახალისოც არის, საინტერესოც და საპასუხისმგებლოც. ყველანი ერთად დიდი სიყვარულითა და მონდომებით ვეუფლებით ხატვის სხვადასხვა მიმართულებას, ფერების მიღებისა და გამოყენების ხერხებს, დახურულ თუ ღია სივრცეში პალიტრასთან ურთიერთობას.

ხშირად ვაწყობთ მცირე-მცირე შიდა გამოფენებს. 2019 წელს მოვაწყეთ შედარებით ფართოდ, კერძოდ, სკოლის საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლეთა კონცერტს დავურთეთ ხატვის წრის წევრთა ნამუშევრების გამოფენა. სამუსიკო სკოლის 30-წლისთავის აღსანიშნავი კონცერტი ყველა დამსწრემა და სტუმარმა შეაქო და, ჩვენდა გასახარად, ქება მხატვრებმაც დავიმსახურეთ. ჩვენთვის ეს დიდი სტიმული იყო და ვემზადებოდით მართლაც დიდი გამოფენისათვის, მაგრამ "კოვიდ–19"-ის 2-წლიანმა პაუზამ გვაიძულა, ე. წ. "ონლაინ-გაკვეთილები", შეძლების კვალობაზე, პერიოდულად გვეტარებინა.

2023 წლის იანვარში სასურველი დონისა და წარმომადგენლობითი გამოფენის საშუალება მოგვცა კასპის გიორგი ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელობამ. მადლობა ყველას, ვინც კავთისხეველთვალადელ ნორჩ შემოქმედებს ასეთი საჩუქარი მოუმზადა.

✦ ლია აფციაური – ქ. კასპის №3 საბავშვო ბაღის აღმზრდელი:

– გაისად 40 წელი შესრულდება, რაც ქალაქის ამ ბაღში ვმუშაობ. მისმა გამგემ, ფერმწერმა და ხელოვანმა თეა ქუტაშვილმა პირველმა შეიტყო ჩემი ხელმარჯვეობის შესახებ, მანამდე კარგად ვქსოვდი, ვქარგავდი და ვკერავდი, მაგრამ ეს ხომ ბევრ ქალბატონს ეხერხება.

7-8 წლის წინ კი სასაჩუქრე ზარდახშების კეთებას სერიოზულად მივუდექი და ჩემი ნახელავი რომ ნახა, აღფრთოვანდა, მომიწონა, წამახალისა და იმდენი ქნა, მეცა და ციალა მაზმიშვილიც საქალაქო გამოფენაზე წარგვადგინა, – კოლექტივში ასეთი ყოჩაღები განა ყველა გამგეს ჰყავს, სხვებმა აუცილებლად უნდა გაგიცნონო! ასე აღმოვჩნდით კოლეგები 2022 წლის მაისში კასპის მუზეუმში მოწყობილი საგაზაფხულო გამოფენის მონაწილე ქალბატონებს შორის, ის – თავისი კენჭებიანი ნახატებით, მე – ნაირგვარი ზარდახშებით,. მათ დასამზადებლად სხვადასხვა მასალას ვიყენებ: ქაღალდს, მუყაოს, ხის დეტალებს, ჩხირებსა და კუბიკებს, ხავერდის ქსოვილს, მავთულს, წებოს...

მათი დამუშავებისა და გამოყენების ხერხებს თანდათან ვხვეწ. თვითონ ნაკეთობათა ფერადოვნებისა და გამძლეობის ვადის გასაზრდელად ლაქის გამოყენება დავიწყე.

...უკვე იმდენი დამიგროვდა, შინ მალე ადგილი აღარ მეყოფა.

✦ ციალა მაზმიშვილი – ქ. კასპის №3 საბავშვო ბაღის აღმზრდელის თანაშემწე:

დიდი ხანი არ არის, რაც მხატვრული კომპოზიციების შექმნას მოვკიდე ხელი. ჩემი სამუშაო მასალაა ბუნებრივი კენჭები, სხვადასხვა ზომისა და ფორმისა.

სასურველი თემის გამოხატვის შემდეგ კენჭებს სხვადასხვა ფერის საღებავით ვაფერადებ, რაც დამთვალიერებელზე დადებით ემოციას ტოვებს.



მახსოვს, პირველ კომპოზიციას "შეყვარებული წყვილი" დავარქვი. მაშინ პანდემიური პერიოდი იდგა და ირგვლივ საყოველთაო სასოწარკვეთა მძლავრობდა, მე კი სასიყვარულო თემით გადავწყვიტე მასთან დაპირისპირება, ანუ იმედი და ნუგეში რომ მიმენიჭებინა ჩემი ახლობელი ადამიანებისათვის, ოჯახში თუ გარეთ. ჩაიარა იმ ავდროებამ, მაგრამ განა ახლა ნაკლებად გვჭირდება სასიხარულო და მოსაწონი ამბები თუ ლამაზი, კეთილი სანახაობანი?..



ჰოდა, ასე იქმნება ჩემი ნაირგვარი კომპოზიციები, რომელთა თემებია: ბავშვები, ფრინველები, მწერები, კატები... უკვე 30-მდე კომპოზიცია დამიგროვდა.

ყოველი ნაკეთობის დასრულების შემდეგ თავისთავად ჩნდება ახლის მონახაზი, წინა პლანზე გამოდის სხვა იდეა და თემა. ვგეგმავ, რომ მალე გადავერთვები ახალ კომპოზიციურ სერიაზე, რომლის თემა იქნება "სვანეთი".

ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება

სპორტი — საგანმანათლებლო სივრცეში

ზოგადად, სპორტი არ ცნობს მიმდევართა ასაკობრივ ცენზს, მისით გატაცებულთა არც სოციალურ დონეს. ის პოპულარულია უფროსებშიც და ახალგაზრდებშიც, მეტადრე — მოსწავლეებში, ყველანაირ სასწავლო-საგანმანათლებლო სივრცეში — უმაღლეს სასწავლებლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სასპორტო სპეციალიზებული ტიპის სკოლებში... ანუ, სპორტისადმი მიდრეკილება, თავისთავად, სარგებლის მომტანია ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის, როგორადაც ჯანმრთელობის საწინდარი, ადრეულ ასაკშივე სახოგადოებაში საკუთარი პერსონის ცნობილობისა და პოპულარობით დამკვიდრების საშუალება.

ქვემოთ თავმოყრილი ინფორმაციული მასალა ერთგვარ თემატურ რკალს კრავს და წარმოგვიდგენს ნაერთ სურათს, თუ რა ხდება ჩვენი მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სივრცეში სპორტის სახეობათა პოპულარიზაციისა და მათში ახალგაზრდული ჩართულობის თვალსაზრისით.

ახალქალაქელი ნორჩები — ქალაქის სტადიონზე

კასპის ცენტრალურ სტადიონზე თუ სასპორტო სავარჯიშოსაშეჯიბრო დარბაზებში მოსულ გულშემატკივრებს ხშირად თან ახლავთ ბავშვებიც, ახალგაზრდა მამებსა და დედებს — შვილები, პაპებსა და დიდედებს კი შვილიშვილები. უნდა ნახოთ, ცეროდენებს როგორ მიუწევთ გული მოედნის მწვანე სარბიელზე ფეხდასადგმელად თუ საჭიდაო ლეიბზე საკოტრიალოდ!

ამგვარ საშუალებას, ცხადია, მოკლებული არიან სოფლელი გოგობიჭები, ვინც მხოლოდ ტელეეკრანზე თუ იხილავს დიდ-დიდი სტადიონებისა და დარბაზების არენებზე გაჩაღებული სპორტული ცხოვრების სურათებს.

ამას წინათ სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლაში (დირექტორი ნანა სურამელი, სპორტის პედაგოგი ლელა ალიმბარაშვილი) ფრიად საინტერესო აქტივობა განხორციელდა დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის: პატარები, უფროსების თანხლებით, ეწვივნენ ქ. კასპის სასპორტო კომპლექსის ობიექტებს და დაათვალიერეს, სტადიონის ხელოვნურსაფარიან მწვანე მოედანზე ივარჯიშეს, იხტუნავეს და ირბინეს, ნებისად იხალისეს. ალბათ, გავა სულ რამდენიმე წელი და ზოგიერთი მათგანი აუცილებლად გახდება მათ სოფელშივე მოქმედი სპორტდარბაზისა თუ კასპის სპორტგაერთიანების სასპორტო ჯგუფებისა და სექციების წევრი.

ახალქალაქის სკოლის დირექციამ სოციალური ქსელის მეშვეობით გულითადი მადლობა გადაუხადა კასპის სპორტგაერთიანების ხელმძღვანელობას (დირექტორის მ/შ შოთა გოგიაშვილი, მენეჯერი ჯუმბერ სიდამონიძე), ასევე, კასპის საკრებულოს დეპუტატს, ახალქალაქის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულს ბადრი ჯანიაშვილს.

კოლეჯში ფეხბურთის გუნდს ქმნიან

სულ ორი წელია, რაც ქ. კასპში პროფესიული კოლეჯი გაიხსნა (დირექტორი დემეტრე დემეტრაშვილი, სასწავლო პროცესის მენეჯერი ნინო ცინცაძე). აქაური სტუდენტები ეუფლებიან ელექტროობის, შემდუღებლის, მეფილე-მომპირკეთებლის, მკერავისა და სხვა სპეციალობებს. პროფესიული არჩევანი ერთია, მაგრამ სპორტითაც არიან გატაცებული. ვაჟებს, მაგალითად, ფეხბურთი არ უყვარდეთ, ხომ წარმოუდგენელია. ზოგიერთი კარგადაც თამაშობს. მათ გაიკითხეს და სხვა თანამოაზრენიც გაიჩინეს, სულაც ერთი გუნდისათვის საკმარისი. მაგრამ როგორ და სად ეთამაშათ, როცა ახალი კოლეჯის სამშენებლო პროექტით მოედანი არ გააჩნიათ?!

ხელი როდი ჩაიქნიეს, ჩანაფიქრი ქალბატონ ნინოს გაანდეს. მან, თავის მხრივ, დასახმარებლად მუნიციპალიტეტის მერიის სპორტის სამსახურის მთავარ სპეციალისტს გოდერძი მარიდაშვილს მიმართა. ცხადია, უარი არც მას უთქვამს, მანაც მოიწონა კოლეჯელი ახალბედა ფეხბურთელების გადაწყვეტილება და, იცით, ვის დაუკავშირდა? — პირდაპირ კასპის საფეხბურთო სკოლის მწვრთნელს შავლეგ მაჭარაშვილს, იმ გუნდის თავკაცს, რომელიც "განთიადის" სახელით მონაწილეობდა თბილისის "ელიტლიგის" გათამაშებაში და 2022 წელს დედაქალაქური 10 საფეხბურთო სკოლისა და აკადემიის გუნდებთან პაექრობაში საპატიო მე-5 ადგილი დაიკავა.

... აი, ასე, — ერთი გუნდის მხრიდან წამოსულმა ინიციატივამ და მეორის მიერ გამოჩენილმა თანადგომამ განაპირობა ერთი ძალიან საინტერესო და სასარგებლო საფეხბურთო მატჩის გამართვა ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე წლევანდელ შუა თებერვალში. ეს თამაში, ცხადია, "განთიადის" 16-წლიანთა გუნდსაც წაადგა, რომელსაც ახალი სეზონის მზადებისას მეტოქე-სპარინგი ადგილზევე გამოუჩნდა. აი, კოლეჯელი მოთამაშეებისათვის კი სულაც "ნათლობის" სამახსოვრო ათვლის წერტილად დარჩება! ისე, ისინი თანახმანი არიან, ეთამაშონ ყველას, თუკი სხვა გუნდები მიიწვევენ საკუთარ სათამაშო მოედნებზე. აბა, ვინ იქნება ინიციატორი?

დედაქალაქის საფეხბურთო აკადემიის ფილიალი — კასპის სპეციალიზებულ სკოლაში

ლეხურისპირა ქალაქში ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის სპეციალიზებული სკოლა 1988 წლის სექტემბერში ამოქმედდა. ამდენად, წლევანდელ შემოდგომაზე მას დაარსებიდან 35-წლისთავი შეუსრულდება. განვლილი ათწლეულების განმავლობაში მის კედლებში დაფრთიანებული არაერთი კასპელი ფეხბურთელი გავიდა ე. წ. "დიდი ფეხბურთის" გზა-სავალზე და მოხვდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდებში, ჩაირიცხა უცხოეთის ქვეყნების კლუბებში და გახდა ჩემპიონი შინ თუ გარეთ.

სადღეისოდ კასპის საფეხბურთო სკოლაში 246 მოზარდი მეცადინეობს, სექციები გახსნილია სოფლადაც.

წლევანდელ 14 მარტს კასპს საქმიანი ვიზიტით სტუმრობდა საფეხბურთო კლუბი "დინამო თბილისის" აკადემიის ხელმძღვანელობის ჯგუფი: მისი დირექტორი ლევან გვანცელაძე, რეგიონული კოორდინატორი პაატა მეტრეველი და პროექტის "საფეხბურთო ფილიალები რეგიონებში" მენეჯერი გია ისიანი. რამდენიმე წელია, რაც პროექტი დაინერგა აკადემიაში, იგი შორსგამიზნულ ამოცანებს ემსახურება და ამჟამად მოქმედებს საქართველოს რამდენიმე მუნიციპალიტეტში, ზოგან კი განხილვა-დანერგვის ეტაპზეა. წლევანდელი წლიდან აკადემიამ მორიგი საფილიალო ჯგუფი კასპშიც გახსნა. მას სათავეში ჩაუდგნენ ადგილობრივი ლიცენზირებული მწვრთნელები შავლეგ მაჭარაშვილი და ნიკა ლეკვეიშვილი, რომელთაც ბავშვთა ფეხბურთში მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნიათ. ქართული ფეხბურთის ფლაგმანი გუნდის აკადემიის დირექციამ ამ ეტაპზე იზრუნა მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ორივემ გაიარა სპეციალური თეორიულ-პრაქტიკული მომზადების სათანადო მოდულირების კურსი. მზადების დასრულების დადასტურების ნიშნად კასპელ ორივე მწვრთნელს ოფიციალურად გადაეცა სერტიფიკატები.

საფეხბურთო გარკვეული დონის ტრადიციებით ცნობილი კასპის სკოლა შემთხვევით არ მოხვედრილა "დინამოს" აკადემიის თავკაცთა თვალსაწიერში. მისმა დირექტორმა, ლევან გვანცელაძემ (იგი ვაჟიშვილი გახლავთ ქართული ფეხბურთის ისტორიაში ცნობილი მსაჯისა, გურამ გვანცელაძისა, აკადემიას სათავეში უდგას 2017 წლიდან) "ახალ განთიადთან" საუბრისას გაიხსენა კასპელი ფეხბურთელები ტარიელ ღვინიაშვილი და პაპუნა პაპაშვილი, რომლებიც კასპიდან მოხვდნენ "დინამო თბილისის" აკადემიაში, მაგრამ იქ ვერ დამკვიდრდნენ სოციალური რიგი პრობლემის გამო, თორემ სპორტული დონე ნამდვილად არ დაეწუნებოდათ. ამჟამად ამავე აკადემიის აღსაზრდელია კიდევ ერთი კასპელი ჭაბუკი — ანდრია ყაზარაშვილი... სწორედ მათნაირი ნიჭიერი ახალთაობელების მხარდასაჭერად და წარმოსაჩენად ქმნის აკადემია თავის ჯგუფებს უშუალოდ რეგიონებში. ამასთან, მისი ხელმძღვანელობა ადგილებზე სწავლა-ვარჯიშების მსურველი ბავშვების ოჯახებს ფინანსურ შეღავათს სთავაზობს (დედაქალაქურ აკადემიაში ყოველთვიური გადასახადი თუ 200 ლარია, კასპში მისი მეოთხედია).

ქვემოჭალელი მოსწავლეების პროექტი სასკოლო კედლებს გასცდა

თვე ისე არ გავა, რომ სოფელ ქვემო ჭალის საჯარო სკოლის (დირექტორი მარეხ გულიკაშვილი, ისტორიის პედაგოგი ირმა-ელისაბედ ზაქარაშვილი) მოსწავლეები, მათ მიერ ინიცირებული ერთ-ერთი სასწავლო-შემეცნებითი პროექტის ფარგლებში, ლეხურის ხეობის სოფლებში, ქვემო ჭალასა და სამთავისში, არ ეწვიონ ცნობილი მოჭიდავეების ოჯახებს. პროექტსაც ასე უწოდეს: "ვიცნობდეთ ჩვენი მხარის სასახელო შვილებს".

ასე იყო წლევანდელ იანვარში, როცა ესტუმრნენ სოსო პავლიაშვილის ოჯახს, ანუგეშეს მისიანები ახალგაზრდულ ასაკში მისი მოულოდნელი დაღუპვის გამო და გაეცნენ სტუდენტი სპორტსმენის სპორტულ კარიერას; ასე იყო თებერვალში, როცა სამთავისში მოინახულეს ცნობილი ფალავნის, ვანო გამხიტაშვილის საოჯახო მუზეუმი და უამრავი ამბავი შეიტყვეს მის შესახებ, პირადად ვანოს დედისა და დებისაგან.

ასე მოხდა მარტშიც, როცა თავიანთ სკოლაშივე საგანგებო შეხვედრა მოუწყვეს თანასკოლელ პერსპექტიულ მოჭიდავეს — თორნიკე გორჯოლაძეს, რომელიც ამჟამად ჭიდაობა ძიუდოში სპორტულ დაოსტატებას ქ. თბილისის ძიუდოს სკოლა "მებრძოლში" აგრძელებს.

ნამდვილად საინტერესო და მრავალმხრივ სასარგებლო პროექტია, ყოჩაღ მასწავლებელსა და მის დაინტერესებულ მოსწავლეებს! ესაა ვეტერანი და გარდაცვლილი თანამემამულე მოჭიდავეების ხსოვნის პატივგების მადლცხებული საშუალება, ხოლო მოქმედი და ახალგაზრდა სპორტსმენებისათვის — დაფასებისა და წახალისების მშვენიერი მაგალითი!

საგაზაფხულო სპორტული ღღიურიდან

ჩემპიონი ... უკმაყოფილოა

ძალისმიერი სამჭიდი (წოლჭიმი): სპორტში ასეთი რამ ხდება, მაგრამ იშვიათად. ვსაუბრობთ კონკრეტულ შემთხვევაზე: კასპელი ჭაბუკი გიორგი კრუპნოვი თებერვლის ბოლოს წარმატებით გამოვიდა საქართველოს ჩემპიონატში, ქ. მარნეულში, სადაც მონაწილეთა ასაკი შეუზღუდავი იყო, მან 155-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა და ჩემპიონის ტიტული ირგუნა. გარეშე გულშემატკივრისათვის საინტერესოა ასეთი შეფასება: ეს სიმძიმე გიორგის საკუთარ წონაზე (74 კგ.) თითქმის ორჯერ მეტია. აი, თვითონ კი, საბოლოოდ, მაინც უკმაყოფილო დარჩა. უპირველესად, თავისი თავისა. ამის მიზეზი გიორგიმ ასე განმარტა: – არასასურველი მიზეზების მიუხედავად, შეკვეთილი სიმძიმის დაძლევა მაინც შევძელი. კარგი შედეგია, გამარჯვებისათვის საკმარისი, მაგრამ მაინც უკმაყოფილო ვარ. ვარჯიშების დროს მეტიც დამიძლევია. მომავალში გამოვასწორებ. ამასთანავე, მადლობას ვუხდი პირად მწვრთნელს, გია მერებაშვილს. ჩვენ ერთად აუცილებლად მეტს შევძლებთ!

ჩვენც გვჯერა წოლჭიმელი ჩემპიონისა და მისი მწვრთნელისა.

კასპში – სამდღიანი, სამ ასაკობრივ ჯგუფში

ჭიდაობა სამბო: კასპის ჭიდაობის ისტორიაში ძნელად გასახსენებელია შემთხვევა, როცა ჩვენმა ქალაქმა უმასპინძლა საქართველოს სამდღიან ჩემპიონატს, თანაც სამ ასაკობრივ ჯგუფში. აქვე განვმარტავთ: ეს იყო სამბოს ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი ავთანდილ ცინცაძე) კალენდარული გეგმით გათვალისწინებული 2023 წლის საქართველოს პირველობა.

აღნიშნული შეჯიბრება, როგორც წესი, მიზნად ისახავდა სპორტის ამ სახეობის შემდგომ პოპულარიზაციას, მონაწილეთა ჩართულობასა და სიმრავლეს, სპორტსმენების ოსტატობის ამაღლებას, ამასთან, ეროვნული ნაკრები გუნდისა და ასაკობრივი გუნდებისათვის კანდიდატების შერჩევას ევროპისა და მსოფლიო პირველობებისათვის (ამრიგად, კასპში გამარჯვებული სპორტსმენებით დაკომპლექტდება სამი ნაკრები და ისინი უკვე მომდევნო თვეში, აპრილში, ისრაელში იასპარეზებენ ევროპის 2023 წლის პირველობაზე. შენიშვნა: თელ-ავივში უფროსთა ნაკრებიც გამოვა).

კასპში ჩატარებული პირველობა მოეწყო ოლიმპიური სისტემით, სამბოს საერთაშორისო წესების თანახმად.

ასაკობრივი ჯგუფები შემდეგნაირად დაიყო: შეჯიბრების პირველი დღე – ჭაბუკები (ანუ 18-წლიანები, 2005–2006 წლებში დაბადებულები), მეორე დღე – ახალგაზრდები (20-წლამდელები, 2003-2004-წლიანები) და მესამე – კადეტები (16-წლამდელები, 2007–2008-წლიანები).

შეჯიბრების ჩატარებას ხელმძღვანელობდა უშუალოდ სამბოს ეროვნული ფედერაცია (მთავარი მსაჯი – საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ემილ რაში), მაგრამ აღსანიშნავია ის დიდი საორგანიზაციო და ტექნიკურ-საყოფაცხოვრებო საკითხების მოსაგვარებლად გაწეული მუშაობა, რაც პირველობის ჩატარების მხარდამჭერმა, ანუ, მასპინძელმა მხარემ უზრუნველყო (კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, მისი მოადგილე ზურაბ კოპაძე, საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი, მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი შოთა გოგიაშვილი).

აღსანიშნავია პირველობის მონაწილეთა რაოდენობა და წარმომადგენლობითი არეალი: 136 ჭაბუკმა 8 წონით კატეგორიაში გაარკვია უძლიერესთა ვინაობა, 100-მდე ახალგაზრდამ – 7 კატეგორიაში, ხოლო 150-მდე კადეტმა 9 წონაში იასპარეზა. აი, რომელი ქალაქებისა და დაბების სასპორტო ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ ისინი:

ქარელი, ხაშური, გორი, ვანი, დუშეთი, ზესტაფონი, ტყიბული, მცხეთა, თბილისი, ფოთი, ლენტეხი, ბათუმი, საგარეჯო, ახმეტა, ქუთაისი, ცაგერი, წყნეთი, წყალტუბო, გარდაბანი, თერჯოლა, ხობი, ახალქალაქი, ზუგდიდი...

კასპმა, თავისი მხრივ, 10-მდე იმედისმომცემი სამბოელი

გამოიყვანა სარბიელზე. გაგაცნობთ მათ ვინაობას, ვინც კვარცხლბეკის საფეხურებზე დადგა:

ჭაბუკები: ჩემპიონი – სანდრო ახლოური (79-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოვიდა, პირველ წრეში დაისვენა, შემდეგ კი ოთხივე მეტოქეს სძლია, მათ შორის გადამწყვეტ ორთაბრძოლაში – ვანელ ბეჟან ხურციძეს და დამსახურებულად დაჯილდოვდა ჩემპიონის ოქროს მედლითა და დიპლომით); მე-3 პრიზიორი – გიორგი ხიზამბარელი (58 კგ.);

ახალგაზრდები: მე-3 პრიზიორი – იოსებ ჟვიძე (79 კგ.);

კადეტები: მე-2 პრიზიორები – ალეკო ხიზამბარელი (53 კგ.) და თემურ გოგრიჭიანი (46 კგ.), მე-3 პრიზიორი – საბა თაყაიშვილი (71 კილოგრამამდე წონითი კატეგორია).

სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონული პროგრამით...

შუა მარტიდან სტარტი მიეცა სასკოლო სპორტულ ოლიმპიადას. ის მთელ ქვეყანას მოიცავს, მასშტაბურობა შთამბეჭდავია, მასში ჩაერთო 1700-ზე მეტი საჯარო და კერძო პროფილის სკოლა.

ოლიმპიადას ხელმძღვანელობს საქართველოს საბავშვო და სასკოლო სპორტის ფედერაცია (პრეზიდენტი კოტე ამირეჯიბი). საწყისი ეტაპის შეჯიბრებები დასრულებულია მუნიციპალიტეტებში და ახლა რეგიონული ეტაპის მონაწილენი გამოდიან.

18 მარტს კასპის მრავალპროფილურ სასპორტო დარბაზში შეიკრიბნენ შიდა ქართლის ოთხივე მუნიციპალიტეტის მოსწავლეთა გუნდები და გაარკვიეს რეგიონების ჩემპიონების ვინაობა სპორტის სამ სახეობაში: 3 X 3 კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ბადმინტონში (ვაჟთა და გოგონათა შორის).

კალათბურთელ ვაჟთა გუნდებში რეგიონის ჩემპიონი გახდა კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალქალაქის საჯარო სკოლის გუნდი (დირექტორი ნანა სურამელი, სპორტის პედაგოგი ტარიელ ამირეზაშვილი). ამ სახეობაში მათი მეტოქეები იყვნენ თანატოლები ქ. გორის №9, ქ. სურამის №4 საჯარო სკოლებიდან და სურამის გიმნაზიიდან.

გოგონების გუნდების პაექრობაში გამარჯვება ირგუნეს ქ. კასპის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა (დირექტორი დარეჯან ჯანგავაძე-ყარალაშვილი, სპორტის პედაგოგი თენგიზ ქოსაშვილი).

კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალციხის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა (დირექტორი მაია ბროლაძე, სპორტის პედაგოგი შამილ ჯანგიშერაშვილი) თავიანთი უპირატესობა კვლავ დაადასტურეს მაგიდის ჩოგბურთში.

რამდენიმე წელია, მათ ძლიერ გუნდს სათანადო მეტოქე ვერ გამოუჩნდა რეგიონის მასშტაბით. საინტერესოა, რომ ახალციხელებს ჩემპიონობა მეორე სახეშიც დარჩათ, თანაც უთამაშებლად, რადგანაც ბადმინტონში კონკურენტი გუნდი არ გამოუჩნდათ.

ფედერაციის რეგიონულმა კურატორმა შიდა ქართლის მხარეში კახა ტოლიაშვილმა "ახალ განთიადს" განუცხადა, რომ მარტის ბოლოსა და აპრილში კიდევ 4 სახეობის წარმომადგენლები (მინიფეხბურთელები, ხელბურთელები, ფრენბურთელები და გეზმორბენლები გორსა და ხაშურში) ჩაერთვებიან ოლიმპიადაში, ხოლო რეგიონული თამაშების შემდეგ უძლიერესები ზონალური გათამაშების ეტაპზე გადავლენ, საქართველოს ჩემპიონები კი სექტემბერში გამოვლინდებიან.

კასპში სასკოლო ოლიმპიადის რეგიონული ეტაპის თამაშებს, რეგიონის კურატორის გარდა, ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე და ამავე სამსახურის სპეციალისტები.

თორნიკეს საჭიდაოზე კვლავ მოელიან

ჭიდაობა ძიუდო: ქ. ქარელში წლევანდელ 4-5 მარტს საქართველოს 16 რაიონისა და ქალაქის 230-მდე ჭაბუკმა მოიყარა თავი. საქართველოს 5-გზის აბსოლუტური ფალავანი, მალხაზ ბერუაშვილი პირადად ესწრებოდა საკუთარი პერსონის სახელობის შეჯიბრებას. ფალავნის წინაშე თავმოწონებას ასეთ დროს, აბა, რომელი არ მოინდომებდა, მაგრამ ეს მხოლოდ რჩეულებმა მოახერხეს. გამარჯვებასა და ჩემპიონობასთან ძალიან ახლოს იყო კასპელი თორნიკე გორჯოლაძე, მაგრამ გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ხელი მოეცარა და ვიცეჩემპიონობას დასჯერდა.

ამის შემდეგ ჩვენმა ყოჩაღმა თორნიკემ, რომელიც სოფ. ქვემო ჭალის საჯარო სკოლის მოსწავლეა, ჩვეული მონდომებით გააგრძელა საწვრთნელი ვარჯიშები, თბილისის ძიუდოს კლუბში "მებრძოლი", თუმცა ერთ-ერთი რთული საილეთო ფანდის დახვეწისას, სერიოზული ტრავმა მიიღო: მარჯვენა მხარი დაიზიანა... მისი საჭიდაო სახვალიო კარიერის ბედი ახლა სპორტული მედიცინის მკურნალი დასტაქრების ხელშია, ისინი კი ქირურგიული ოპერაციის ჩატარებას გეგმავენ. ვნახოთ, ვნახოთ...

თორნიკეს კასპელი მწვრთნელი ბერდია ბახტაძე იმედიანადაა და შეგირდის საჭიდაოზე მალე დაბრუნებას მოელოდება, ისევე, როგორც თორნიკეს დედაქალაქური კლუბის მწვრთნელები.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

..გონიერსა მწვრთნელი უყვარს..

ზენაარს ისე დაუწესებია, რომ სამზეოზე ერთმანეთისათვის შეუსვეტებია ტრადიციული სამკუთხედის რგოლები: სოფელ-ქვეყანა – ადამიანის სასიცოცხლოდ, სამყოფელად, სამართავად, სამფლობელოდ;

სკოლა – საწყისი კერია მოკვდავის წიგნიერებისა და გონიერების სივრცითი განშლისათვის;

მასწავლებელი – საყრდენი, მესაძირკვლე, დედაბოძი ადამიანური საზრისისა, განსწავლულობისა, ცხოვრების არსის განჩხრეკვისა...

დასტურ, მიგნებულად მოუთარგავს ქართველთ წინაპარს: – სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია!

დიდ შოთას კი უბრძანებია: – გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს!

გვსურს ძლიერი, ღონიერი საცხოვრისი? – მაშ, შევქმნათ საგანმანათლებლო ფუნდამენტი, კლასიკური და აკადემიური დონისა! გვინდა, გვყავდეს განათლებული და ცოდნის დაუფლების სურვილით აღუვსებელი ახალი თაობები? – მაშ, დავაფასოთ, ვეთაყვანოთ სახალხო განათლების "ფრონტის" ფიცდაუდებელ მსახურებს, ანუ ამაგდარ, ღვაწლმოსილ მასწავლებლებს!

... კასპის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის უახლეს ისტორიაში ნიშანდობლივი ფაქტი მოხდა: სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლის მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ცირა ღვინაძეს საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა და სათანადო მოწმობა გადაეცა.

ქვემოთ სწორედაც ამ სოფლისა და მისი სკოლის მოკლე ისტორიულ რაკურსს წარმოგიდგენთ და ახლოს გაგაცნობთ დამსახურებული მასწავლებლის საგანმანათლებლო საქმიანობას.

*** სოფელი: კოდისწყარო ისტორიულ ძეგლადაა მიჩნეული. საქართველოს ამგვარი ძეგლების აღწერილობის სპეციალური საცნობარო ტომი გვაუწყებს, რომ "კოდისწყარო" პირველად იხსენიება ლეონტი მროველის (მე-16 ს.) ჩანაწერებში. მოგვიანებული ხანის ცნობით, 1433 წელს სოფელი თაყა ზევდგინიძეს შიომღვიმის მონასტრისათვის შეუწირავს. დროჟამიერობის კვალობაზე, შუაფეოდალურ ხანაში, კოდისწყარო სამუხრანბატონოში შედიოდა.

აგერ, ჩვენს დროებაში, 1980-ანი წლების დასაწყისში აქ აღმოჩენილა მონუმენტური ხელოვნების უიშვიათესი ძეგლი – დიონისეს ქანდაკება (ინკუსტრირებული, ბრინჯაოში ჩამოსხმული, 20-სანტიმეტრიანი ნიმუში ამჟამად კასპის გიორგი ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული). სოფლის სასაფლაოს ტერიტორიაზეა არქიტექტურული ტიპის ნაგებობა – წმინდა თევდორეს ეკლესია. ის მე-18-19 საუკუნეებით თარიღდება. ფრიად საინტერესო და იშვიათი სახელოსნო ნიმუშებია მიკვლეული აქაური ძველი ნამოსახლარისა და სამაროვნის გათხრებისა და შესწავლის შედეგად.

რამდენიმე თქმულება და სახალხო გადმოცემა უკავშირდება კოდისწყაროს სამოსახლო ტერიტორიაზე პირველო მონაშენეების დასახლებას. სახელწოდების ეტიმოლოგიური წარმომავლობა ახსნილია მათში (ასევე, მისი ტერიტორიულად ახლობელი სოფლებისა – ნიგოზა, ჩობალაური, ზემო და ქვემო რენე, სარიბარი, ყარაფილა, ზადიანთკარი). გასული საუკუნის ბოლოს მოხუცებს ახსოვდათ, რომ კოდისწყაროში პირველად ღვინაძეები და ბულბულაშვილები დასახლებულან, ვინ ვითომდა ხვედურეთიდან (ქარელის რაიონი) ყოფილა წამოსული, ვინ – მახლობელი ქვემო ჭალიდან...

ჩვენს ხელთაა მე-20 და 21-ე საუკუნეების მიჯნაზე (1999 წლის სექტემ-

ბერი) კოდისწყაროს სასოფლო საკრებულოს აპარატის უფროსის ლ. გაზაშვილის მიერ მომზადებული "სოფელ კოდისწყაროს ისტორია" (8 ფურცლად). აი, რამდენიმე სათანადო ამონარიდი:

"კოდისწყაროს სოფლის საკრებულოს უკავია 3808 ჰექტარი მიწის ფართობი. მასში შედის 8 სოფელი (იხ. ზემოთ), 657 კომლითა და 1763 მცხოვრებით";

"საკრებულოს ტერიტორიაზე ცხოვრობს 48 გვარის ხალხი";

"მეორე მსოფლიო ომში მონაწილე 155 კოდისწყაროელიდან ფაშიზმთან ბრძოლაში დაიღუპა 80-ზე მეტი. ზემო რენეში მცხოვრებმა ვანო გაზაშვილმა სამშობლოს დასაცავად 6 ვაჟკაცი გაგზავნა, მათგან ცოცხალი შინ მხოლოდ ერთი დაუბრუნდა"...

მამა-პაპათა საბრძოლო სულისკვეთებისა და მაგალითის ერთგულების მემკვიდრეობითი გზის გამგრძელებელი ვაჟკაცი სოფელს თანამედროვეობაშიც გამოუჩნდა – სოფლის გმირი შვილის შარავანდედით შეიმოსა გელა თიგიშვილი (2008 წლის აგვისტო).

სოფელში საგანმანათლებლო პირველი კერა გასული საუკუნის 30-ანი წლებიდან დაარსდა.

*** სკოლა: პირველი 2-კლასიანი სკოლა 1930 წელს გაიხსნა დავით ბულბულაშვილის ბინაში. აი, პირველი მოსწავლეების ვინაობა: პირველი კლასი – ნინა ღვინაძე, ვანო ოქროპირიძე, არჩილ ღვინაძე, ლეო ტუხიაშვილი, ვასო ბულბულაშვილი; მეორე – სონია, მანია, ნინა, ნადია და მიშა ღვინაძეები, თამარ დვალიძე, მარო სიდამონიძე და ვანო ბულბულაშვილი. მასწავლებლობდა გორელი ნუნუ ტატალაშვილი... სკოლა მერე 4-წლიანად გადაკეთდა და მისი გამგე ლიდა გოცირიძემ შეცვალა. მასწავლებლობდნენ მარო საჩალელი, ნინა და ბალიკო მაყიშვილები.

სოფლის შვიდწლიანი სკოლის შენობა 1936-37 წლებში აშენდა (ინიციატორი შაქრო ოქროპირიძე, თავმჯდომარე გიორგი ღვინაძე, მდივანი ნიკოლოზ ღვინაძე. მომდევნო ათწლეულების განმავლობაში სკოლის დირექტორებად იყვნენ:

ასიკო ოთარაშვილი, ნიფადორა ნადარეიშვილი, კონსტანტინე საღირაშვილი, შალვა მელქაძე, თენგიზ გიუნაშვილი, გიორგი მთვარელიძე, ტერენტი თხილავა, დავით ღვინაძე, სოლომონ ციხისთავი, სონია ღვინაძე, გიორგი გოგიაშვილი, მიხეილ შარმანაშვილი, გივი ღვინაძე, ალექსი მუზაშვილი, გივი ღვინაძე, თამაზ ქასოშვილი, ალექსანდრე დვალიძე, ხოლო 2005 წლიდან დღემდე - რუიზან დვალიძე.

კოდისწყაროს სკოლადამთავრებულია უამრავი ცნობილი ადამიანი, რომელთაც თავიანთი ზნეკეთილი ცხოვრებითა და პროფესიული საქმიანობით ასახელეს მშობლიური სოფელი და სკოლა, მაგალითად, პეტრე ღვინაძე – მათემატიკოსი, პედაგოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი (1999 წ.)...

*** მასწავლებელი: საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრომ, კერძოდ, მასწავლებელთა პროფესიული დახელოვნების ეროვნულმა ცენტრმა, 2023 წლის თებერვალში, ქვეყნის მასშტაბით, ყველა მუნიციპალიტეტში, თითოთითო ღვაწლმოსილსა და ამაგდარ პედაგოგს მიანიჭა საპატიო წოდება: "დამსახურებული მასწავლებელი". საამისო პატივგება კასპიდან წილად ხვდა სოფელ კოდისწყაროს სკოლის მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, 74 წლის ქალბატონს ცირა ღვინაძეს.

მას სკოლაში პედაგოგად მუშაობის 38-წლიანი სტაჟი გააჩნია.

სპეციალობით ქართული ენის პედაგოგი და ლინგვისტია. არადა, კოდისწყაროს რვაწლიანი სკოლის დამთავრებისას (1964 წ.), ქალიშვილის სამომავლო არჩევანის ჰორიზონტზე სხვა გზა ჩანდა. იმჟამად დედაქალაქ თბილისში ახალდაარსებული კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლისათვის ნიჭიერი მოსწავლეები მთელი საქართველოდან მოიძიეს. პირველკომაროველთა ჯგუფში კოდისწყაროელი ცირა ღვინაძეც მოხვდა. "სოფლელმა გოგომ" მათ გვერდით თავი შებორკილად როდი იგრძნო, საერთო ცოდნითა და განათლებით მათ არაფრით ჩამორჩა. მერეც, უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკის ფაკულტეტზე თამამად, მყარად გაშალა ფრთები. ცნობილმა ენათმეცნიერმა, პროფესორმა (შემდგომში აკადემიკოსმა) თამაზ გამყრელიძემ, კიბერნეტიკის ფაკულტეტის სტრუქტურული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სპეციალობაზე სწავლების დასრულების შემდეგ თავის ჯგუფში მიიწვია სამეცნიერო დარგში მომზადებისათვის და ნასტუდენტარი სვანეთში მიავლინა, – ლინგვინისტობა თუ გსურს, სვანურ ენასაც დაეუფლეო! არადა, არც სოფელ ილდიანის სკოლაში აღმოჩნდა ენის პედაგოგის ადგილი და მათემატიკოსობისას ვერც სვანური შეისწავლა. ციფრების ზღვა-ოკეანეს კარგახანს კიდევ ვერ გაექცა, სხვადასხვა სამინისტროში ხან საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის წამყვანი კონსტრუქტორი იყო და ხანაც – ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი.

ამასობაში, ასე, გარე-გარე "მათემატიკურ მოგზაურს" მშობლიური სოფლის სკოლამ უხმო და... აგერ, 1984 წლიდან დღემდე კოდისწყაროს საჯარო სკოლის ქართული ენის პედაგოგია. ახსოვს (მაშინ არც აქ აღმოჩნდა მისთვის თავისუფალი განაკვეთი და ერთ წელზე მეტხანს პიონერხელმძღვანელობდა), პირველ გაკვეთილზე მეშვიდეკლასელებთან შევიდა. ისინი შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანს" გადიოდნენ. მისთვის სადებიუტო გაკვეთილისათვის განკუთვნილი აკადემიური 45 წუთის ამოწურვის მაუწყებელი ზარი დაირეკა და...

– ცირა მას, გააგრძელეთ საუბარი, დასვენებაზე არ გავდივართ! – ანთებული თვალებითა და წრფელი გულით შეუძახეს ბავშვებმა და მაშინ ირწმუნა, არა მარტო დიდი შოთასი და მისი უკვდავი პოემის, არა მარტო საკუთარი პედაგოგ-ლექტორების წინაშე გახდა ვალმოუხდელი, თანასოფლელი ამ ნორჩების მიმართაც გაუჩნდა პროფესიული ვალდებულება და არასდიდებით უღალატებდა თავის სოფელს, თავის სკოლას, მისი და ყველას საქართველოს მომავალს...

... "და იქმნა" გამყარებული არჩევანის, საყვარელი საქმისა და ძვირფასი დედულ-მამულის, ანუ, დედასავით ერთადერთი სამშობლოს მსახურად კოდისწყაროელი პედაგოგი ცირა ღვინაძე:

– მე სამშობლოს მსახური ვარ. ეს ჩემი გულიდან ამოძახილია. ნურავინ ჩამითვლის თავის გადამეტებულ ქებად. მართალია, ჩემს ქვეყანას ვერ გავუჩინე საკუთარი შვილები, ვერ გავამრავლე ქართველობა... ჰო, ვერც მეცნიერად შევდექი, ვერც მრავალშვილიანი დედა გავხდი და ამით ვერ ავისრულე ახალგაზრდობისდროინდელი ოცნებები, მაგრამ, მერწმუნეთ, ვცდილობ, ასეთი "დანაშაული" გამოვისყიდო ჩემს არსებაში განივთებული უდიდესი სიყვარულით, ჩემი ხალხისა და ქვეყნის წინაშე რომ გამაჩნია და მასულდგმულებს... ვგრძნობ, რომ საჭირო ვარ, ჯერ კიდევ!.. "დამსახურებული მასწავლებლის" წოდების მონიჭება უდიდესი პატივია ჩემთვის, ის მხოლოდ მე არ დამიმსახურებია, მადლობა ჩემს სოფელს, ჩემი სკოლის კოლექტივს, ჩემს მოსწავლეებს!

ამირან ტალახაძე.

მარცის ჰალიცრა

ნელი გორგაძე – ქ. კასპის №4 საბავშვო ბაღის აღმზრდელი:

– სკოლის მოსწავლე ვიყავი ჯერაც, როცა მივხვდი, რომ ჩემი გატაცება, უფრო ჰობი, ხატვა იყო. ამიტომ ვფიქრობდი სწავლის გაგრძელებას იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში, მაგრამ მშობლების დაჟინებული მოთხოვნით ჩავაბარე იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ სასწავლებელში (აღმზრდელის სპეციალობაზე). სწავლის პერიოდში ძალიან გამიმართლა იმ მხრივ, რომ პედაგოგიკის შესწავლასთან ერთად ვეუფლებოდით ხელოვნებასა და ხატვასაც. უმაღლესი სასწავლებელი 1987 წელს დავამთავრე და აღმზრდელად მუშაობა დავიწყე ხოვლეში, მშობლიური სოფლის საბავშვო ბაღში. შემდგომ კი კასპის №4 საბავშვო ბაღში აღმოვჩნდი.

სწორედ აქ დაიწყო ჩემი შემოქმედებითი საქმიანობა, ერთი რომ გავშალე ფრთები, მერე ვინღა იყო დამშლელი...

და ასე, ყოველდღიურად, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე მიწევს ქართული თუ უცხოური ზღაპრების რომელიმე პერსონაჟის ილუსტრირება, ბუნების სეზონების მიხედვით პეიზაჟების შექმნა და მოხატვა, საბავშვო ბაღის შენობის კედლებზე სხვადასხვა მასალით ბავშვებისათვის გულგამხარებელი ნახატების დატანა, სადღესასწაულო ზეიმებისა თუ აქტივობების შესაბამისად დეკორაციების მოწყობა.

ამდაგვარი გრძელვადიანი შემოქმედებითი პროექტის განხორციელების პროცესი შრომატევადია, თუმცა, სასიამოვნოც, რადგანაც, როგორც ავტორ-შემქმნელი, თვითონაც კმაყოფილი ვრჩები და, რაც უმთავრესია, ჩემს აღსაზრდელებს გარემოს ვულამაზებ.

ცეროდენა ამბავი

მაია აბეწვაშვილი – ქ. კასპის №4 საბავშვო ბაღის აღმზრდელი:

– იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებელი 1986 წელს დავამთავრე და დღემდე აღმზრდელის თანამდებობაზე ვმუშაობ.

ჩემს ძირითად სპეციალობასთან, როგორც მონათესავე სფერო, ძალიან ახლოსაა ხელოვნება, რომელიც ძალიან მიყვარს ბავშვობიდანვე და ვთვლი, რომ ხატვა ჩემი ჰობია.

ის მძლავრი იარაღია და მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის თვალსაზრისით უდიდეს როლს ასრულებს. საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს დილაობით. ის მათი შენობის მთავარ შესასვლელ კართან არის დახატული კედელზე. მერე, საღამოხანს, შინაც აცილებს პატარებსა და მათ წასაყვანად მისულ მშობლებსა და პაპა-დიდედებს.

თეთრხალიანი ბემბი ყველას თეა მასწავლებლის დახატული ჰგონია. ის



ამიტომ ჩემს საყვარელ საქმეს დიდი სიამოვნებით ვაკეთებ.

თავის ქებად ნუ ჩამომერთმევა და კასპის №4 ბაღის ეზოცა და მთელი შიდა სივრცეც ერთ-ერთი საუკეთესოა კეთილმოწყობისა და მხატვრული გაფორმების კრიტერიუმებით; როგორც იტყვიან ხოლმე, – ის ავ თვალს არ ენახვის!

აი, პირადულ, შინაურულ შემოქმედებით მხარეს რაც ხომ ნამდვილი მხატვარია (თანაც, ბაღის გამგე). არა, ჩვენო პატარებო, ეს ბემბი თურმე იმ უცნობმა მშენებელმა პაპამ დახატა, რომელიც ბაღის სარემონტო სამუშაოებს ხელმძღვანელობდა. გაუგია, თეა მასწავლებელი ფერმწერიაო, და, – ჩემგან საჩუქრად გყავდეთ თქვენ და თქვენს კუდრაჭებსა და ბიჭუკელებსო!

შეეხება, საკუთარი ხელნაკეთი ნამუშევრებით ქ. თბილისში ვმონაწილეობდი ერთ-ერთი გამოფენის ფარგლებში, სადაც უმეტესად ნაქარგები წარვადგინე და დიდადაც მომიწონეს.

აი, ნახეთ როგორი კეთილშობილი ყოფილა ის პაპა. ალბათ, მასაც ძალიან უყვარს ბემბი. ისე, ბავშვობაში მასაც შეებრალებოდა დიდი ვაჟასეული შვილის ნუკრი...

ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

ცეროდენა ამბავი

არა, ეს არ გეგონოთ ვაჟა-ფშაველას ციცქნა მოთხრობიდან "შვლის ნუკრის ნაამბობი" გადმოსული დაობლებული და გულშესაბრალისი ნუკრი. არც ისაა, დღევანდელი საჯარო სკოლების მეექვსეკლასელები რომ წარმოადგენენ მასწავლებლის დავალებულ შესასრულებელ თავისუფალ თემაში "დავწეროთ "შვლის ნუკრის" გაგრძელება"...

ეს გახლავთ თანამედროვე მოზარდებისათვის ძალზე ნაცნობი ბემბი – საყვარელი მულტფილმის გმირი. არც მეტი და არც ნაკლები, არა სხვა რაიმე, სწორედ ეს ბემბი ეგებება ქ. კასპის №3 სკოლამდელ აღზრდელებს ეზოში. ეს ბემბი ეგებებოდა ალბათ, ბავშვობაში ... ეს ბემბი ... ეს ... ეს ... ეს